

სექვენციური აღრიცხვა ურანგო ალბათური ლოგიკისათვის

ლალი ტიბუა

ხელოვნური ინტელექტის დასაბამიდან, ეგრედ წოდებული 'გონებრივი' ამოცანების ამოსახსნელად დამოუკიდებლად გამოიყენებოდა ლოგიკური და ალბათური მეთოდები. ალბათობის თეორია პასუხობს გაურკვევლობით გამოწვეულ გამოწვევებს, მაშინ როცა, ლოგიკა უფრო მეტად მოსახერხებელია სრულყოფილი ცოდნის დასაბუთებისათვის. მნიშვნელოვანი კვლევები მიემდგვნა ლოგიკური და ალბათური მეთოდების ერთ ჩარჩოში კომბინაციას, რამაც გამოიწვია ლოგიკურ-ალბათური ფორმალიზმებისა და პროგრამირების სისტემების შექმნა. აქამდე შესწავლილი ყველა ალბათური ლოგიკური ფორმალიზმი უშვებს მხოლოდ ინდივიდუალურ ცვლადებს, რომელთა ჩანაცვლება შესაძლებელია ერთი თერმით. მეორეს მხრივ, განვითარდა თეორიები და სისტემები, რომლებიც დამატებით იყენებენ მიმდევრობით ცვლადებს (ამ ცვლადების ჩანაცვლება შესაძლებელია სასრული, შესაძლოა ცარიელი, თერმების მიმდევრობით) და ურანგო სიმბოლოებს (ფუნქციონალური ან/და პრედიკატული სიმბოლოები ფიქსირებული ადგილიანობის გარეშე). ურანგო თერმი არის პირველი რიგის თერმი, სადაც ერთი და იგივე ფუნქციონალური სიმბოლო შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა რაოდენობის არგუმენტებით. ურანგო ფუნქციონალურ სიმბოლოებს და მიმდევრობით ცვლადებს ენაში შემოაქვთ დიდი გამომსახველობითი უნარი. მამასადამე, აქტუალურია ალბათური ლოგიკის გაფართოების შესწავლა მიმდევრობის ცვლადებით. მოხსენებაში განვიხილავთ სექვენციურ აღრიცხვას ურანგო ალბათური ლოგიკისთვის. ჩვენ ვაჩვენებთ გამოთვლების სისწორეს და სისრულეს.

